1938 წ. ნოემბერი
№ 22

# ნიანგი

გა-ზა „კომუნისტი"
ფასი 60 კ.

14/XII 849
371



ახალი და ძველი პოგრომშჩიკი

ნახ. მიხ. ოთაროვისა.

(ნიკოლოზ უკანასკნელის აჩრდილი).

— დამიჯერეთ კოლეგა, მე ძველი პოგრომშჩიკი ვარ, მაგრამ როგორც მოგეხსენებათ ამ საშუალებამ ვერაფერი მარგო.



# კნუტები



ეროვნული ბიბლიოთეკა

— გოგოვ, გნახე ფეხშიშველი
გამოგოგდი „დვორში"...
ან მე გამყე. ან—აქვსენტის,
ვინც გერჩიოს ორში.

ასე მიღიღინებდა კიბეებზე ახალგაზრდა კაცი ანდრო კავთელი. და როცა საკუთარი ოთახის კარები შეაღო, ბინის „შინაარქიტექტურამ" კინალამ „თაო ჩემოთი" შეუცვალა მხიარული „გოგოვ, გნახე".

ცოტა რამ ოთახის „შინაარქიტექტურაზე" მინდა მოგახსენოთ: ოთახის შუაგულს იდგა მაგიდა მყოფი ანტისანიტარულ გუნებაზე პურის ნახორხლები და ძეხვის გამხმარი კანი ერთიმეორეს ეალერსებოდნენ. ნაღვინარი ჭიქები, თითქო დამთვრალანო აქეთ იქით გადაგორებულნი ეყარნენ. გოჭის ძვლებით სავსე მათლაფა ორად გაბზარულიყო. ჩაიდნის თავსახური მაგიდის ქვეშ დაგორავდა და ჩაის წყლით სავსე ჩაიდანში ხუთმეტამდე ბუზს ჩაეხრჩო თავი ალბად რომანიულ ნიადაგზე.

ანდრო კავთელმა, შეხედა თუ არა მორთულ მაგიდას იმწამშივე გაახსენდა, რომ ხუთიოდე დღის წინ, საკუთარ ოთახში ქეიფის დროს, ერთერთმა ამხანაგმა სტუმართაგანმა პირიდან ასაქმა და ვიდრე ღვინის შემოქმედება გახმებოდა, სამი დღის განმავლობაში, ღამღამობით აირწინაღიც კი ეკეთა შეურაცყოფილ მასპინძელს ძილის დროს.

რას იზამთ, ყველაფერს გაუძლებს კაცი! და აი, ახლა, ანდრო კავთელმა რომ პარკით პამიდორი შემოიტანა და მაგიდაზე დადო, წამოპირქვავებულმა, ბამბუკისაგან ნაკეთებმა წიგნების თარომ მიიპყრო მისი თვალები.

— ესეც ახალი შარი.—სთქვა მან,—ბუფეტის დალაგება არ მეყოფოდა?!

შემდეგ, ვინაიდან საათნახევრის შემდეგ პაემანზე უნდა გამოცხადებულიყო, მანამდე კი მას შარვალი ჰქონდა გასაუთოებელი და პამიდორი შესაჭმელი, პირდაპირ უთოს ძებნას შეუდგა. ტანსაცმელის შკაფი გამოაღო. ისე არეული დაუხვდა, რომ ძებნა შეეზარა; და გაიფიქრა: სულ ერთია, აქ მაინც არ იქნებაო და სხვაგან დაუწყო ძებნა. განჯინაში ნახა, ვერ იპოვნა. ბუფეტის თავზე დაათვალიერა, არ იყო. და მექანიკურად, თავახდილ ჩამადანს რომ წაადგა საშინელი რამ სურათი ნახა: მისი ოჯახის საკუთარ კატას ნუშკას ოთხი თვალისმომჭრელი სილამაზის კნუტი ეშობნა და დედობრივ ზრუნვაში იყო გართული.

ვაი შენს ანდროს! რა აუვიდოდა ხუთი კატის რჩენას. ეგეც არ იყოს, ერთი პატრონი საკუთრივ მათ მოუნდებოდა და ანდრო კი ისეც დატვირთული მუშაკი გახლდათ.

რალა ეუთოებოდა საწყალ ანდროს, როცა ასეთი გადაუდებელი ამოცანა დაუხვდა წინ. პამიდორით სავსე პარკი დაცალა და ნუშკასთან ხელჩართულ ომში გამარჯვების შემდეგ კნუტები ამ პარკში მოაქცია.

კარები გაიკეტა, პარკი თან წაიღო და წავიდა. სად მიდიოდა თავადაც არ იცოდა. სანაგვე ყუთში ჩაეგდო ეს პარკი? ვაი თუ გულჩვილ მეეზოვეს ენახნა ცოცხალი არსებანი და ვილა გადურჩებოდა; იფიქრა და მრიფიქრა:

რამოდენიმე სახლი გაიარა და იმავე ქუჩაზე მთელი ერთი კილომეტრის მოშორებით რომ მისი ამხანაგი ცხოვრობდა იმ ეზოში შევიდა; იცოდა, რომ მისი ამხანაგი სახლში არ იყო, ტყუილად იკითხა და ეზოდან გამოსვლის დროს, სანაგვე ყუთში მოაქცია კნუტებით სავსე პარკი.

* * *

ნეტავ არ დაბრუნებულიყო სახლში ანდრო. კარებთან ატუზული მისი ყოფილი სიდედრი დაუხვდა და ანონსად მიაძახა:

— დედავ და შვილო, მამაშენმა რომ ამხელა ვირი კაძახი გაგზარდა პურს არ გაჭმევდა? .

ანდრო კინალამ დაიბნა. მაინც უპასუხა:

— არა, ზამთრობით თოვლს მაჭმევდა, ზაფხულობით მაძოვებდა და თივითაც კი მიმასპინძლდებოდა ხანდახან..

— შე ნამუსთან ნაჩხუბარო, რომ მიატოვე, რჩენა არ უნდა იმ საცოდავ ბავშვს?—უფრო გაცხარდა სიდედრი.

— კი მაგრამ,—თავი იმართლა ანდრომ, ბავშვი ჯერ თვენახევრისაა, მეტის ხომ არა? სულ ცამეტი დღე არ არის რაც შენს ქალს, ჩემს ამოსაგდებ ცოლს გავეყარე. ჯერ რა რჩენა უნდა ბავშვს, ძუძუს მეტს ვერაფერს ჭამს და დედამისს ფული ვუხადო ძუძუს მოწოვებაში?!

— კი, მაგრამ დედაშენმა რომ ტიტველი დაგბადა, მამაშენმაც ტიტველი გაგზარდა შე უნამუსო?—უფრო აუწია ხმას ყოფილმა სიდედრმა.

— რა. საგალიფეო და სააზიაცკო ისა მყავს, ჯერ ერთი, სამ წელიწადს ის ფალასფულასები ეყოფა სახლში რომ აღარ დამიტოვა ჩემმა ამშენებელმა და დანარჩენზე, თუ გაზარდა და აცოცხლა—შემდეგ მოვილაპარაკოთ...—კვლავ იმართლა თავი ანდრომ,

რამდენი არ ლანძღა ყოფილმა სიდედრმა, ბოლოს ისიც კი უთხრა შენი ყოფილი ცოლი უკვე თხოვდება, შენ გეგონა ისე დარჩებოდაო. მაგრამ არაფერმა გასჭრა ანდროზე, დუგლაძის ჯორივით დაასო წიხლი და სულ ერთდაიგივეს გაიძახოდა:

— ჯერ რა რჩენა უნდა, რომელი ლულაქაბაბის მჭამელი ან გალიბანდის დამხურავი ის გამოვიდა?!.

ასე იყო, თუ ისე—ვერაფერზე შეთანხმდნენ. სიდედრი სასამართლოთი დაემუქრა, ბავშვის დარჩენილი შიბაქი გაზეთში გახვია და გზას ნიშნის მოგებით გაუდგა:

— მაცალე, შენს ფეხს დავიკრავ თავზე, თუ თაგვივით არ გაწრუწუნო!..

* * *

ძლივს დაიწყნარა ნერვები ანდრომ. ფიქრიც კი აღელვებდა და ბოლოს ამასაც მიანება თავი. უთოს ძებნა განაგრძო, მაგრამ მაინც ვერ იპოვნა. ბოლოს, ოთახს მაინც დავალაგებო, გაიფიქრა და გამოუცდელი კაცი უკუღმა შეუდგა სამუშაოს შესრულებას: ჯერ, ოთახის დაგვამდე, კუთხეში რამოდენიმე დღის დაგროვილ ნაგვის გადაყრა სცადა და აქ აღმოაჩინა თავისი „სულიკო". უთო ნაგვის ქვეშ ყოფილიყო მოყოლილი. შარვლის გაუთოების მიზნით უთო ელდენს შეუერთა და თავად ისევ დიასახლისობას შეუდგა.

ჯერ მაგიდა ნახევრად არ ჰქონდა ალაგებული, რომ კატის კნავილი და ფანჯრის ფხაჭუნი შემოესმა.

— აცხა, ნუშკა!—დრამატიულის ტონით შეუყვირა ანდრომ.

— მიაუ...—არ იშლიდა ნუშკა. საშინლად კნაოდა და ფანჯარას კაწრავდა.

სიბრაზისაგან ისე დაიყვირა ანდრომ რომ კინალამ მეზობლები შეყარა და რომ ყვირილი გაემართლებინა ჩაის ჭიქა პირდაპირ ფანჯრის მინისკენ გააქანა, ხელიდან დაუცდა და ანდროს საკუთარი, საალიმენტო ბავშვის სურათის მინა ჩალეწა.

— უხ, შენი სურათიც კი ზარალად გადამექცა.—დაიღრიალა ანდრომ, ჩამოკიდებული სურათი ჩამოგლიჯა, დახია და რომ მთელი ჯავრი ნუშკაზე ამოეყარა შმაგური სისწრაფით გამოაღო კარები.

ერთი პატარა მიზეზის გამო შეაჩერა ანდრომ კატისათვის მოქნეული ჯოხი: გულთბილმა მშობელმა ნუშკამ დარბაისლურად შემოალაჯა ოთახში და პარკით ოთხივე კნუტი უვნებელი შემოიყვანა.

გ. ივანიშვილი.

ნახ. ან. კანდელაკისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა




საქ. გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის საქმიანობა

1-ლი ვირთხა: მეშინია, არ გაიღვიძონ!

2-რე ვირთხა: ნუ გეშინია ძმობილო, მაგათ სალათას ძილი სჭირთ, ჯერ ვახუშტი შევჭამოთ და მერე მაგათი გეგმები.

# ამბავი რეპერტუარზე

ტყიბულში ვიყავი
და გული ჰყვაოდა,
დავესწარ თეატრშიც
„დიდ სანახაობას“..

ვუყურებ პიესას
არ სჯერათ თვალებსა,
(ნეტავ მაყურებელს
ვინ შეიბრალებსა!)

ფრაზების სროლა და
სიტყვების რახუნი,
აზრები უაზრო
ჯერ არსად ნახული!..

სად არის იდეა
მორალი, სტიმული
სად არის მიზანი
და საქმე გმირული.

სად არის ტიპების
ასახვის უნარი,
(რატომ ამ პიესას
არ ეთქვა უარი?!)

ვინც დართო მას ნება
სად ჰქონდა თავია,
(ალბად მან არ იცის
თეთრი და შავია!!)

* * *

პიესის ავტორმა
ამბები მახარა
(თან მორცხვი ღიმილით
თავი ძირს დაჰხარა)

მითხრა: — ეს პიესა
დავსწერე ხელადა,
მიიღეს ხალისით
და შეუცვლელადა!..

წაკითხვის საკითხი
მყიდველებს მიანდეს,
ბეჭედი დაჰკრეს და...
ნებართვა მიაკრეს!

გაჰყიდეს ათი და
მთხოვნელი ასია,
რადგან სამმართველოს
ბეჭედი ასვია!...

ექვსასი თუმანი
მივიღე მე ამით,
და კიდევ პროცენტებს
მოველი სიამით!..

დავითა.

ნახ. გ. თოიძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჭიათურის სასტუმროში

— აი, მობრძანდით, გადიხადეთ ყველა საწოლებისა და მოისვენეთ!
— ერთი საწოლისათვის ასეთი ჯარიმა ვის გაუგონია?!
— იშოვეთ თქვენც მდგმურები და იოლად წახვალთ.

---

ო. სვისგი

# დაკარგული მზეთუნახავი*)

(ზღაპარი კომკავშირის ჰასაკის ბავშვებისათვის)

ცხრა მთას იქით, ერთ მხარეში,
ერთ მიუვალ სასახლეში,
სადაც ვრცელი ანკეტების
და პირადი საქმეების
„ცათა სწორი“ ეწყო მთები,—
არსებობდა კომიტეტი.
ერთ დილაზე მქუხარ ხმითა
იმ სასახლის კარებიდან,
მოსვლა უხმეს ყველა მდივნებს,—
ვინც არ მოვა, თავსაც ივნებს!
და ბრძანების სისრულეში
მოსაყვანად სასახლეში
საამქროდან, ჯგუფებიდან
გულმამაცი ვეფხივითა
ოცდა ცამეტი მდივანი
საქმისათვის გულმტკივანი
მოდის! ერთიც არ აკლია!
დავალებას მოელიან...
გამოვიდა კომსასჯელის
მიცემის აქვს ვისაც ნება
და, მჭმუნავი, მქუხარე ხმით
თავის მდივნებს ეუბნება:
„ანკეტებში, მოვკარ თვალი,
იყო ივანიძის ქალი
და მეც გიხმეთ სათათბიროთ,
რომ ამიხსნათ, გამირკვიოთ
რად არ ვიცნობ? თქვით ვინ არის?
სადაური, რომელ მხარის?
როგორა აქვს იმას საქმე?
ახლავ გაჩნდეს, ვბრძანებ, აქ მე!“
დაუშვიათ მდივნებს ცხვირი
და შეუკრავთ ბაგე-პირი,
ჩავარდნიათ თითქოს ენა,
მათ სახეზე უკრთით წყენა.
მწუხარების სტანჯავთ ალი:
ივანიძის ქალის კვალი
ვერ მიაგნო ვერავინა,
არ იციან სად აქვს ბინა,
არ იციან ის გოგონა
როგორ იცვამს, რა ხნისაა,
რანაირად იღიმება,
ან როგორი სახისა,
ოქმებში და ანკეტებში
პირად საქმეების მთებში,—
ოცდაცამეტი მდივანი
საქმისათვის გულმტკივანი
დაეძებენ ღამით, დღისით,
ვერსა ნახეს კვალი მისი.
და სასჯელის მომლოდინე
ოქმებისას ჩხრეკენ ზვინებს...

—

დღე გადის და კვალი მისი
არსად მოსჩანს... კვლავ მოისმის.
საამქროში ხმა მქუხარე:
„კომსასჯელი გელით მწარე“
და იმავე
წამს კრებაზე
მოციმციმე
ვით მზე ცაზე
შემოვიდა უცხო ქალი
ტან-ალვა და ბროლფიქალი.
უცხო ქალი, გაიცანით,—
პეტრეშვილი იყო გვარად,
და მას ხვეულ ხუჭუჭ თმებით
კოხტა ტანი დაეფარა.
კრძალვით მდივნებს ეუბნება:
—გთხოვთ მიბოძოთ სიტყვის ნება;
დაკარგულა, მითხრეს, ქალი...
განვაცხადო მაძევს ვალი.
მე თვითონ ვარ ივანიძე,
თან მაქვს პეტრეშვილის გვარიც,
წელი გადის, რაც გავთხოვდი,
პეტრეშვილი გახლავთ ქმარი.
ნუ დამძრახავთ სიყვარულით
რომ ვატარებ ქმრის გვარს გულით.

—

ამნაირ ფერისცვალებით
სახემკრთალი, როგორც ფარჩა,
თითქოს წყალი გადაესხათ,
დადუმდა და სახტად დარჩა —
ოცდაცამეტი მდივანი
საქმისათვის გულმტკივანი
მქუხარენი მეხივითა,
მამაცები ვეფხვივითა,
და მათ შორის მდივნათ ზესი—
მდივანი უპირველესი,

* *
*

ცხრა მთას იქით, ერთ მხარეში
ერთ მიუვალ სასახლეში,
სადაც პირად საქმეების
ცათა სწორი არის მთები,
სად მელნის ტბა საქმეს ჰქარგავს—
მოქალაქე დაიკარგა.

თარგმანი— მ-ზახი

---

*) აქ აღწერილ ამბავს საფუძვლად უდევს ნამდვილი ამბავი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოსკოვის სახელმწიფო საათების ქარხანაში.

# ზესტაფონელი რაინდები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(ჰიდროლოგიური სადგური)



ეს ამბავი საარაკო
მოხდა ქალაქ ზესტაფონში,
ბერაძეებს ქეიფს შემდეგ
მოუვიდათ ჩხუბის ხონში.
რაკი ომი გადასწყვიტეს
დატრიალდნენ ძმები სწრაფად,
ჰიდროსადგურს თავს დაესხნენ
რომ „ელშნური“ მოეტაცათ.
მაგრამ დამხვდურს არ ეძინა,
„გმირებს“ ასწრო უცებ თვალი
არ დაიბნენ ძმები, ომის
ამოვარდა ქარიშხალი.
აქ ერთმა ძმამ ამ სადგურის
უფროსს დაჰკრა რკინის კეტი,
დასცა ძირს და წიხლის ცემით
დაახვია თავზე რეტი
უცებ გაჩნდა მილიცია,
გაარღვია ხალხის რკალი,
რომ ჩაექრო საშიშარი
მძიმე ომის ქარიშხალი.
ძმებმა მათაც შეუძახეს,
—„ჩვენ საქმის დროს გვიჭრის მკლავი,
„ელშნურისთვის“ დავამტვრიეთ
ფანჯარა და ორი თავი“.
არ შეგვეხო თუ ხარ ჩვენი
ჩვენ შენებრ ბიჭს ვილებთ სანდოდ,
თუ არ გინდა რომ ეგ თავი
სარემონტოდ გაგიხადოდ.
შეეშინდა მილიციელს
და „გმირებზე“ არა სთქვა რა,
მოვიხედეთ, ვერ გავიგეთ,
თუ საით წავიდა გაიპარა.
ზესტაფონის მილიციას
„აკანკალებს რაკი შიშით“—
ნიანგოჯან, ეს „გმირები“
შენ ჩაიგდე მაინც პირში!

ალაპიტე.

ნახ. დონისა.



## ა./კ. ფედერაციის ქუჩაზე

— აქ ჩვენ ხომ დავიმტვერით მაგრამ ახლა მაინც ვაცნობოთ რაი-საბჭოს, სხვებიც რომ აღარ ჩავარდნენ.
— არა, არაფერიც არ გამოვა, სანამ რაი-საბჭოს ინჟინერები აქ თითონ არ ჩავარდებიან.

# „ბარელიეფი“

თბილისი. ტროტუარები სავსეა ხალხით. ფუსფუსებს ქალაქი, მოასფალტებულ ქუჩებზე და მოედნებზე ერთმანეთს უსწრებენ კრიალა მანქანები, ტროლეიბუსები, მოტოციკლები. ფართო მაღაზიების კოხტა ვიტრინებში გემოვნებით დალაგებული საქონელი თვალს იზიდავს, თავისი სიჭარბითა და სილამაზით გულს ახარებს, დოვლათი და ბარაქა იყურება ყოველი კუთხიდან, ხვავიან, საამურ ცხოვრებაზე ლაპარაკობს—მათი სიუხვე.

ხალისი და სიცოცხლე დუღს ირგვლივ. ნათელი, იმედიანი მხიარული სახეები, ყვავილები, სანოვაგე, სიმღერა... ერთის სიტყვით. რომანის შესავლისათვის პირდაპირ მზამზარეული სურათია.

და ეს სურათი თქვენ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, ვსთქვათ პუშკინის ბაღიდან: აქ შესანიშნავი შადრევანი სცემს, მისი ბროლმინანქრიანი შხეფების სათავე ასწლიან ჭადრებსა სწვდება და იქიდან რძის კასკადებად დამტვრეული ეშვება დაბლა, ახალი ტრიბუნის მარმარილოს კედლებს მარგალიტებად ეშხეფება. ამას დაუმატეთ შემოდგომის მზის საამო მხურვალება, ყვითელი ფოთლების შრიალი და ცვენა, გარშემო კი ყვავილები კიდევ გარშემო... მაგრამ დაუთმოთ ამ სურათის გაგრძელება რომანისტებს და ამ სურათში ჩაჩხირულ ერთ პატარა შტრიხზე შევჩერდეთ.

აი ამ შადრევნის გვერდით. აუზის პირად გრძელ სკამზე ჩამწკრივებულა ხალხი მეტად თავისებური იერისა და გარეგნობისა. ჩამწკრივებულა და როცა მზეში გარინდული სდუმს, იფიქრებთ, რომ ეს რაღაც ბარელიეფია და არა ცოცხალი ადამიანები. თქვენ შეგიძლიანთ ისიც იფიქროთ, რომ თითქოს ვიღაცას ეს ბარელიეფი ამოუჭრია, გამოუძერწია ძველი ცხოვრებიდან, აქ მზეზე გასაშრობად გამოუტანია და სკამზე დარჩენია.

ეს აზრი უფრო შეიძლება დაებადოს ახალგაზრდობას, რომელიც დიდი ოქტომბრის მიჯნას იქით არ ყოფილა და მეხსიერებაში არ გამოჰყოლია ეს გარეგნობა, ეს ტანსაცმელი. ეს ოდესღაც ხარბი, გაუმაძღარი თვალები, ხეპრე სახეები დღეს სიძველისა და სინანულის ხავსს რომ დაუფარავს და ჩაუქრია.

ეს ყოფილი ხალხის თაიგულია; ძველი ვაჭრები, ქარხნის პატრონები, ნაზოქაულარი, ღენერალი, გაფცქვნილი თავადი, აზნაური, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი თუ კოლეჟსკი ასესორ-რეგისტრატორი—ვინ მოსთვლის?

ყველას თავისი დამახასიათებელი გარეგნობა წამოუღია ძველი სამყარო, მაშინდელი ყოფა-ცხოვრებიდან. შემდეგ ეს გარეგნობაც ჩამოსცვეთ-ჩამოხუნებია და ჰა, თუ მალე არ გადახატეთ, საცაა სამუზეუმო მასალადაც აღარ ივარგებს.

სხედან ისინი, სხედან და ჰყვინთავენ. ყველა მათგანს ჯდომაც თავისებური აქვს, ლაპარაკიც, გამოხედვაც: ზოგი ბურნუთსა სწევს, ზოგი კრიალოსანს აწვალებს თითქოს მის ყაითანზე ასხმულ მძივებს გადასაყლაპავად ამზადებს და ცერით შინჯავს ჰა, ყელში ჩამეტევა თუ არაო, ზოგი ამთქნარებს, ზოგი თითებს ითვლის, ამთავრებს და კვლავ თავიდან იწყებს.

— გაიგეთ.?—ამბობს ბარელიეფის ერთი ფიგურა,—ჩვენი დარჩუას შვილი ოთახს ირთამს.

— როგორ თუ ოთახსა? ალბათ ქალს ირთამს,—უსწორებს მეორე ფიგურა.

— არა მეთქი, ოთახს ირთამს, ქალი კი—მზითევში მიჰყავს...

— ეგ როგორი თაბაუთია?—კითხულობს მესამე,—აკი ცოლებიც ჰყავდა და მზითევიც ჰქონდა, რა უყო?

— ბრუნვა გააკეთა.

— როგორ თუ ბრუნვა მეთქი?

— როცა პირველ ცოლს გაეყარა, მეორე ცოლის მზითევი იმის ალიმენტში დახარჯა, მეორე ცოლის ალიმენტი მესამე ცოლის მზითვით გაისტუმრა.

— ეხლა?

— ეხლა თავიდან იწყებს, ძალაუნებურად კიდევ ახალ ცოლს ირთამს, რადგანაც ბინა აღარა აქვს ტოესტ-ოთახს რაღა.

ბარელიეფის ფიგურები იცინიან ისე სხვადასხვა ხმასა და კილოზე, რომ ეს სიცილი რაღაც კაკაფონიას მოგაგონებთ.

— თუ ბინა უნდა და არა ოჯახი, მაშინ ნახლედნიკათ უნდა დამდგარიყო,—დაასკვნის ერთი ფიგურათაგანი, რომელიც უფრო ძალიან გახუნებულია.

— ეჰ, მახლაზ, სადღაა ნახლედნიკობის მოდნა.

საერთო პაუზაა. შემდეგ იგივე ფიგურა განაგრძობს.

— აფსუს, რა დრო იყო. წინათ ალაყაფში მივაკრამდი დაწერილ განცხადებას:

„ვიყვანთ ნახლებნიკებს ტახტზე დაწვენით და სადილით.

ჩაი—კრაპუსტით (კვირაობით—ჩაგდებით)“. მეთქი და მოდიოდნენ და მოჰქონდათ ფულები.

— ვინ მოდიოდა.

— შკოლნიკები რაღა.

—მოწაფეებითქო,—უსწორებს ბოლოში მჯდომი ფიგურა.—ეხლა მოწაფეებს შენი „კრიპუსტები“ აღარ სჭირდებათ. ამათ (სიტყვა „ამათ“ ხაზგასმით ამბობს და საბჭოთა ხელისუფლებას გულისხმობს) ტახტიც დაუდგეს და ხალიჩაც გადაუფარეს, კვირაობითაც და დანარჩენ დღეებშიც სულ ჩაგდებულს, ესე იგი დაშაქრულ ჩაის მიირთმევენ, სტიპენდიებიც ზედვეა, შემწვარ-მოხრაკულებიც. ოღონდ ისწავლეთო და სულ სასახლეები აუშენეს.

— დვარეცებითქო,—ახლა თავის მხრივ „უსწორებს ქართულს“ პირველი—დვარეცებითქო გაიგეთ, ვარანცოვ-დაშკოვისეული დვარეცი ძუძუთებს რომ პადარკათ მისცეს?

— ვის ძუძუთებს?

— აი პიონერებს რაღა.

— ჰო, მახლაზ, დროების საქმეა ყველაფერი.

— პაუზა. შემდეგ ისევ ის „ფიგურა“ იწყებს, კრიალოსნის მარცვლების ჩაყლაპვას რომ ლამობს:

— დროების ამბავია, მაშ რა დოზანაა?—წინათ ოჯახში სხვა მარიფათები იყო, ადათიც სხვა, ლაზათიც სხვა: ღვთის სიყვარული, ქმრის ერთგულება რამე. აი ჩემი შუშანა თქვი... ტრიატი და კლუბი რას ერქვა.—ლოტოს სათამაშოთაც არ წავიდოდა, თუ ჩემისგნით ყაბული არ მიეღო. ერთხელ დიდმარხვაში სიზმარი ენახნა. მებნება თუ სურფგეურქი გამემეცხადაო და თქო თუ ღამ-ღამობით ცალკე ოთახში დაიძინეო. ხედამთ? წმინდანის ბრძანებაზედაც კი ჩემისგზით აიღო ნება. დავყაბულდი. იცოდე, ღამე თუ ჩემთან სუფგეურქი შამოვიდეს, არაფერი სთქო, თორემ ეწყინება და ოჯახის მადლს უკან წაიღებსო.

— მეთქი განა სუფგეურქი ვიზიტიც გვიზამს?

— გვიზამს რომელია, პირობა მოცემული აქვსო.

— პაქალუსტა მეთქი. ჰუზურში მართალი გამოდგა: მუდამ ღამე, ან დღეგამოშვებით შუშანას სპალნის კარი იღება, მემრე ჩურჩული ისმის, მემრე ისევ მიდის—დადის რაღა სუფგეურქი ჩემ ოჯახში. ყისმათი მართლაც მოვიდა. ვაჭრობა უფრო კარგი მქონდა, მოგებაც ბევრი... (პაუზა) ჰამა ერთ ღამეს ფინთი ნედარაზუმენია მოხდა და ყველაფერი უკუღმა დატრიალდა.

რა მოხდა გეურქ,? ეკითხება მას ერთერთი „ფიგურა“.

— შუშანა ავადმყოფი დედასთან წავიდა, მე იმის ოთახში დავიძინე. ვნახოთ, კარი გაიღო და ვიღაცა ფრთხილად შამოვიდა ჰამაც ჩურჩულით მეძახის:

— შუშან, გძინამს?

გაგიგე, სუფგეურქია და გავიტრუნე! ერთიც ვნახოთ საბანსა მხდის...

— შუშან, მე ვარ, გეურქა (მითომ სურფგეურქიო რაღა)—გძინამსო? მაშინ მე ტკბილად ვებნები:

— ვა, შეხს სიყმეს ვენაცვალე, სურფგეურქ, მე შუშანა არა ვარ, მაგრამ მაინც დამლოცე, მაკურთხე, შენი მადლით ოჯახი ამივსე მეთქი... ეს რომ გაიგონა, ის ანგელოზი ეშმიში გახდა და ვატყოფ რომ უნდა გაქცუნდეს. ჩაუვარდი ფეხებში, ვეხვეწები, ვემუდარები; სუფგეურქჯან, ანგელოზოჯან, არ გეწყინოს შენს სიყმეს ვენაცვალე, დარჩი მეთქი.

ბან ჩუნეს. გაქცუნდა და აკოშკიდან გადახტა. მე კი ვდგევარ და პირჯვარს ვიწერ და ვიძახი: შე ახმახო ჩემო თავო, რათ გააჯავრე ანგელოზი მეთქი. დილით იმისი ცალი ბაშმაკი ვიპოვნე ოთახში. არ დაიჯერებთ, ნამდვილი ბაშმაკი რაღა. რო გენახათ თქვენც გაგიკვირდებოდათ.

ამ სიტყვებზე მთელი „ბარელიეფი“ მოძრაობაში მოდის. ზოგი გამოთაყვანებულივით იღიმება, ზოგი გაშეშდება, ზოგი პირჯვარს იწერს. ერთი კი ხითხითებს, ეშმაკურად ხითხითებს თითქოს რაღაცა ენიშნათ. კარგა ხანს გრძელდება ასე. შემდეგ „ფიგურები“ ნელნელა კვლავ სულს იბრუნებენ და იწყებენ მასლაათს იმის შესახებ, რომ ძველი ოჯახის ადათიც სხვა იყო, ლაზათიც სხვა, რომ ქალი იმდენად ქმრის მონა-მორჩილი იყო, რომ ოჯახში ანგელოზებიც კი შემოჰყავდა. ეხლა კი, რაც ეს სოციალიზმია, ყველაფერი სხვანაირი გახდა, ყოფაცხოვრება შეიცვალა ახალი ყაიდის ადათები შემოვიდა სახლში ხატებიც კი არ არის, იქ ანგელოზს რაღა შეიყვანს?

მზე კი ბრწყინავს, საამური, დოვლათიანი ცხოვრების მზე სხივებს ათოვს გარემოს, შადრევანი უთვალავ მარგალიტების კასკადებად იფრქვევა და ნიავის შექროლებაზე „ბარელიეფის“ გარშემო ცვივა ყვითელი ფოთლები, როგორც მათი გარდასული ყოფის აკომპანიმენტი.

ფარსადანი.

# „ნიანგი" მწერალთა კავშირის პოლიკლინიკაში

ამ ორი კვირის წინად, შემთხვევით იყო ეს, თუ ბედისწერით გამოწვეული, „ნიანგს" გამოხრული კბილი ასტკივდა. რა გზა ქონდა, ისევ მწერალთა კავშირის პოლიკლინიკაში მივიდა და მორიგე ქალს დაზიანებული კბილის ამოღება სთხოვა.

აბა, მწერლებს ქვეყანაზე რა გამოეპარება, და რა გაიგეს ეს ამბავი, მყისვე მისცვივდნენ მორიგე ექიმს და ხვეწნა მუდარა დაუწყეს: ჩვენ, ქალბატონო, ადგილობრივი კედლის გაზეთის რედაქტორი და მისი თანამშრომლები გახლავართ. კედლის გაზეთს ვუშვებთ და უკბილო გამოგვიდის, მოდი, მოიღე მოწყალება და სიკეთე გვიყავი: ახლა რომ გამოხრულ კბილს ამოაძრობ „ნიანგს", სანაგვეში



ნუღარ გადააგდებ, ჩვენ გვიწყალობე და სამაგიეროთ ალიო მაშაშვილის „პატრიოტების" პრემიერაზე წაგიყვანთ, რომელიც ამ დღეებში იქნება გაშვებული, თუ საერთოდ იქნა დაშვებული.

დასთანხმდა ექიმი, ამოაძრო „ნიანგს" დაზიანებული კბილი და კედლის გაზეთის მწერლებს გადასცა ქაღალდში გახვეული.

„ნიანგს" არც კი შეუმჩნევია ეს მცირე პროცედურა, ადგა და წავიდა, ხოლო მწერლებმა დაზიანებული კბილი წაიღეს და ალიოს მაგიდის უჯრაში შეინახეს, როგორც სასწაულმოქმედი ხვითო.

ამის შემდეგ კედლის გაზეთს ცოტაოდენი გამოცოცხლება დაეტყო.

ყაყაჩო.

ა. ს. პუშკინი

## მეათე მცნება

უფალო, ჰბრძანებ, რომ არ ავყვე მე გულისთქმასა,
არ წავეხარბო ქონებასა მოყვასისასა.
შენ კარგად იცნობ ჩემს ძალ-ღონეს, ჩემსა ვნებასა.
შევძლებ-კი განა ნაზის გრძნობის დამონებასა?
მოყვასის წყენას შორს გაურბი და ვერიდები,
არც იმის ხარს, არც ვირს, არც სახლს არ ვეხარბები.
არ მსურს, არც მონა და არც მისი სხვა საცხოვარი.
არა მშურს მისთვის მე სიკეთე არავითარი,
ხოლო თუ ტურფა, მშვენიერი ჰყავს მას მხევალი,
უფალო ჩემო, უძლური ვარ და შესაბრალი;
ან თუ ცოლი ჰყავს ანგელოსი მას ხორც-შესხმული,
შემინდე ცოდვილს, თუ მე შურით აღმევსოს გული.

თარგმანი **ა. აბნაზაროვისა**

# სიღნაღელი კულტუროსნები

(სცენა სინამდვილიდან)

**მოქმედნი პირნი:**

ალ. მოსაშვილი
ალ. ხატიაშვილი
არ. იასეშვილი
ი. კვირიკაშვილი
ი. კუტიბაშვილი
} ხულიგანი მოწაფეები
დირექტორი
მასწავლებელი

(მოქმედება სწარმოებს სიღნაღის სრული საშუალო სკოლის მე-8 კლასში).

**მოსაშვილი** — (მიმართავს მოწაფეებს) აბა, ამხანაგებო, ეხლა შემოვა გეოგრაფიის მასწავლებელი და იყავით მზად ჩემი ბრძანების მოსასმენათ...ვაი მისი ბრალი ვინც კრინტს დასძრავს, სულ ბუკივით გავუხდით ცხვირს (შემოდის გეოგრაფიის მასწავლებელი) ფეხზე სდექით! (მოწაფეები ფეხზე დგებიან). გამარჯვება ჩვენს ძვირფასზე უძვირფასეს, საძვირფასო გეოგრაფიის უხუცეს მასწავლებელს.

მოგახსენებთ, რომ ყველაფერი რიგზე არის... დღეს ორი მერხისა და ერთი ფანჯრის მეტი არ დაგვიმსხვრევია და მარტო სამ მოწაფეს მოუქინძლეე კისერი, შეგიძლიათ შეუდგეთ სრულიად თავისუფალად თქვენი მოვალეობის ასრულებას! (ხარხარი).

**მასწავლებელი** (გაჯავრებით) რაშია ყმაწვილებო საქმე? სკოლაში ხართ თუ...

**ხატიაშვილი** — არა მასწავლებელო. ჩვენ ჰაეროპლანზე ვზივართ და ვარსკვლავებს ვეთამაშებით; თქვენ კი, როგორც გეოგრაფი, დედამიწას უტრიალებთ გარშემო.

**მასწავლებელი** (აღელვებულია, მაგრამ მაინც დარიგების კილოთი) აბა, რა არის ყმაწვილებო სასაცილო? ნუ თუ არა გრცხვენიათ ამოდენა ვაჟკაცებს. ეს არის თქვენი დისციპლინა?!..

**იასეშვილი** — ფუთნახევარი ბოჯიში მასწავლებელო... (კვლავ სიცილი).

**მასწავლებელი** — (კიდევ უფრო აღელვებული) კარგი დაწყნარდით. (ამოიკითხავს) კვირიკაშვილი, გამოდით ერთი და მომინახეთ ქარტაზე ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატები...

**კვირიკაშვილი** (პარტაზე წამოწვება) არა მცალია მასწავლებელო, დღეს იშტაზე არა ვარ და თუ გინდათ, ქარტაზე არა და ისე კი შემიძლია სიღნაღი დაგანახვოთ. (კვლავ სიცილი).

**მასწავლებელი** (სასოწარკვეთილი) ეს რა ადგილს ჩავარდი თქვენი ჭირიმეთ (ამოიკითხავს). კუტიბაშვილი! გამოდით და დაფაზე გამიკეთე კასპიის ზღვის მოხაზულობა.

**კუტიბაშვილი** — (გადის დაფაზე ზღვის მაგიერ ვირს დახატავს და მასწავლებელს მიმართავს) რა ვქნა პატივცემულო უჩიტელო, ვირის დახატვა უფრო მეხერხება და ეხლა რაც გინდათ ის მიყავით. (კვლავ ხარხარი)

**მოსაშვილი** — დავისვენოთ ეხლა მასწავლებელო, თორემ სიცილისაგან დავიხოცებით. აბა ბიჭებო. ეზოსკენ იარ! (მიდის სიმღერით და თან მიყვებიან: იასეშვილი, ხატიაშვილი, კვირიკაშვილი და კუტიბაშვილი).

მასწავლებელი გადახედავს დარჩენილ მოწაფეებს, რომლებიც ჩაფიქრებული სხედან, ქუდს დაიხურავს და საჩქაროდ გასწევს დირექტორის კაბინეტისაკენ.

**მასწავლებელი** — ამხ. დირექტორო, ასეთ მოწაფეებთან მუშაობა ყოვლად შეუძლებელია, საშინელი უდისციპლინობაა...

**დირექტორი** — (კიდევ უფრო დამშვიდებულად) ჩემს მიერ უკვე დროულადაა მიღებული ზომები... მოსაშვილს ათ საგანში დაუწერეთ ცუდი ნიშანი, იასეშვილს თერთმეტში, ხატიაშვილსაც... ა-მ-დ-ე-ნ-შ... (ნელნელა ჩაქძინება).

**დავითა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „როგორ მუშაობენ მწერლები"

ნახ. დოწისა.

(მასალები ნასესხებია „ლიტერატურული საქართველოდან")

ელექტრონული ბიბლიოთეკა



**შალვა დადიანი**

შალვა ყველა ხელებით მუშაობს დიდი წარმატებით მხოლოდ „მოლა მასრადინა" ხელების მოუხმარებლად დაუწერია.



**სიმონ ჩიქოვანი**

მუშაობს თარგმანებზე—ბოდიში, კი არ მუშაობს, უკვე იმუშავა, მაგრამ „ლიტერატურული საქართველოს" გადმოცემით ესეც შედის თემაში **„რაზედ მუშაობენ მწერლები"**. აგრეთვე სიმონმა დაამზადა თარგმნების წიგნი, რომელსაც გამოსცემს სახელგამი, მაგრამ ვინაიდან წიგნის ფორმატი ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული ამ საქმის გამორკვევა დავალებული აქვს შალვა რადიანს. ამ საქმეს ვიმედოვნებთ შალვაც ბრწყინვალედ დაამთავრებს ამ წლის ბოლომდე.



**სერგო კლდიაშვილი**

ერთსადაიმავე დროს სწერს ორ კომედიას ორივე ხელით (ერთი გაწვდილი აქვს რუსთაველის თეატრისაკენ, ხოლო მეორე მარჯანიშვილის თეატრისაკენ), მაგრამ ვინაიდან ორი ხელი საკმარისი აღარ აღმოჩნდა სერგოს ნიჭის ქაღალდზე გადასატანად, ამიტომ ორიც მიუმატებია და ამ ორი უკანასკნელით სწერს ერთით კინო სცენარს (ეს ხელი თბილისის კინოფაბრიკისაკენ აქვს მიშვერილი), ხოლო მეორეთი ნოველებს. ასე რომ ყველა ხელები საქმეს აკეთებენ, ხოლო ყველა ამ ხელებს ერთი პატარა, მაგრამ ოქრო თავი ამოძრავებს, ანუ ამოქმედებს.



**კონსტანტინე გამსახურდია**

იმის გარდა, რომ კონსტანტინე სწერს რომანებს—გადაუწყვეტია იმუშაოს დანტეს „სალხინებელის" კორექტურაზედაც, ვინაიდან სხვისი კორექტურა კონსტანტინეს საერთოდ არ მოსწონს.



**ალიო მაშაშვილი**

სწერს პოემას, პიესას, კინოსცენარს და მინიატიურებს—როგორც სჩანს ჟანრების შერჩევის მხრით სერგო და ალიო ემსგავსება ერთმანეთს, ხოლო ალიო ლექსებსა და პოემებს უმატებს. მთავარი განსხვავება მაინც იმაშია, რომ ალიო სხვადასხვა დროს სწერს ყველა ამ ნაწარმოებს—და ხელების მიმატებაც აღარ სჭირდება.



**ალექსანდრე აბაშელი**

იმის გარდა, რომ ალექსანდრეს ლექსების წიგნს სცემს გამომცემლობა „ფედერაცია", ალექსანდრე სწერს ორ რომანს. ორივე ეს რომანები იწერება ერთსადაიმავე დროს, თუმცა ერთი „გაბზარული სარკე" ისე გაბზარულა, რომ მეათე წელია და ავტორმა გამრთელება ვერ მოუხერხა. ყველაფერ ამაზე ალექსანდრეს მხოლოდ ცალი ხელი მუშაობს, ვინაიდან მეორე ხელი რუსეთის სახ. გამომცემლობის საგანგებო რწმუნებულს ბიქტორ ბიქტორის-ძე გოლცევს აქვს დაკავებული.



**რაჟდენ გვეტაძე**

რაჟდენ დიდ საქმეშია: აქეთ ლექსები, იქით რომანები, მილმა პოემები და შიგ „ფედერაცია". მთავარი ის არის, რომ რაჟდენს დაუწყია პოემის წერა **„ახალგაზრდა ინტელიგენციის ცხოვრებიდან"** (ხაზი ჩემია, რადგან შესანიშნავი ქართულით არის დაწერილი) აქ აღსანიშნავია ის, რომ რაჟდენს ამ პოემის ათას ხუთას ათი და ერთნახევარი სტრიქონი უკვე დაუწერია, ხოლო სულ პოემა იქნება ოთხი ათას ოთხნახევარი სტრიქონი და ოთხი ასო.



**ლეო ქიაჩელი**

რომანი „გვადი ბიგვა"—გამოსაცემად გადასცა „ფედერაციას". „ფედერაცია" იძლევა შეპირებას, რომ წიგნი აუცილებლად გამოვა, (კორექტორის შერჩევაზე მუშაობს თვით ლეო ამ თავითვე). ისიც, როგორც წესი სწერს კინოსცენარს. როცა იქნება აუცილებლად დაიწყებს მუშაობას თავისი რომანი „სისხლის" მეორე წიგნზე და როგორც იქნება მზად იქნება. გათვალისწინებული აქვს აგრეთვე დასწეროს მაინცდამაინც ორი ნოველა. არც მეტი, არც ნაკლები, ვინაიდან ერთი იქნება ისტორიული, ხოლო მეორე თანამედროვე თემაზე.



**გიორგი ლეონიძე**

გოგლა იმიტომ არის გოგლა, რომ მას დიდი თავი აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა ამოდენა ლექსებისა და პოემების წერა, მაგრამ განა გოგლას საქმიანობა მხოლოდ ამით ამოიწურება? არა—მის, ისე როგორც ზოგიერთ სხვა მწერლების მუშაობაში შედის აგრეთვე—სახელგამის, მეტეხის და რუსეთის გამომცემლობის მუშაობაც გოგლას ნაწერების გამოცემაზე.



**დემნა შენგელაია**

დასწერა მოთხრობები და რომანები. დასწერა კინოსცენარი. მაგრამ დემნას მუშაობაში შედის ისიც, რომ მის ძველ მოთხრობებს სცემს „ფედერაცია", რომელიც შეიცავს 7 ფორმას, შვიდ გვერდსა და შვიდ სტრიქონს —მისივე „ბათა ქექია"-მაც გააკეთა დიდი სასწაული ვინაიდან 18 ფორმიანი რომანი რუსულად თარგმნის შემდეგ, 6 ფორმა გამოუვიდა.



**სანდრო ეული**

სანდროს მხოლოდ ორი ხელი აღმოაჩნდა. ერთით სწერს ორ პოემას, ხოლო მეორეთი მხოლოდ ერთი პიესა დასწერა, რომლის მეასედ გადაწერას დაასრულებს ამ უახლოესი ათი წლის განმავლობაში.



**ილო მოსაშვილი**

მთარგმნელმა დაათავა ილოს ლექსების თარგმნა რუსულად—ილომაც წაიკითხა რუსული თარგმნები. ამ წიგნს გამოსცემს რუსეთის სახ. გამომცემლობა (ტირაჟი ცალკე იქნება გამოცხადებული გაზეთებში) აგრეთვე სახელგამი სცემს „ლექსების კრებულს", ხოლო „ფედერაცია" „რჩეულ ლექსებს". ამ ორთა შორის ის განსხვავებაა, რომ „ლექსების კრებულში" სულ ნარჩიელი ლექსები იქნება შეტანილი—ყველაფერ ამაზე **მუშაობს** ილო, მაგრამ მისი მუშაობის გეგმაშიაც ბევრი რამ შედის—ასეთია ორი პოემის ერთსადაიმავე დროს დაწერა—ერთსადა იმავე დროს ალბათ იმ მოსაზრებით, რომ თუ ილოს მოზღვავებული აზრების ნაკვესი ერთ პოემაში აღარ გამოდგა, ან არ ჩაეტია მეორეში შეუძლია გადაიტანოს.

**ნიანგელი**

# დიაგნოზისა გამო

ჩემს სიცოცხლეში არავითარი ტკივილი არ მიგვრძვნია. არც ვაპირებდი მეგრძნო, მაგრამ ეს ჩემზე არ იყო დამოკიდებული: ამ ზაფხულში შევბულება ავიღე და დასასვენებელი სახლის საგზური მომცეს. დიდხანს უარზე ვიდექ: სხვა გაგზავნეთ, მე შესანიშნავად ვგრძნობ თავს მეთქი, მაგრამ ადგილკომის მდივანი ამიხირდა.

წასვლის წინ ადგილკომის წევრები სახლში მომადგნენ.

— ჰო, როგორ ხარ აპოლონ?—თანამგრძნობით მკითხა ადგილკომმა.—ჯანზე ხომ კარგად?

— საღი ვარ, როგორც შამფური!—ვუპასუხე.

— შენ მაშინ ნახე, დასასვენებელ სახლიდან რომ ჩამოხვალ, როგორი იქნები! წამოდი, გაგაცილებთ!

დიდის ამბით ჩამსვეს ვაგონში.

კუპეში დამძინებოდა, ოფლი გამომსვლოდა და საფუძვლიანად გავციებულიყავ. დასასვენებელ სახლში მისვლისას სიცხე ოცდათვრამეტამდე იყო ასული და როგორც ასეთი, ცალკე ოთახში დამაწვინეს.

ღამით ექიმი შემოვიდა. გამსინჯა.

—ოჯახში ჰლექით გყავდათ ვინმე ავად?

— არავინ!—კატეგორიულად განვაცხადე.

— დედმამა რითი დაგეხოცათ?

— არც ერთი მათგანი მაგ საქმეს არ აპირებს: მამაჩემი გამოცდილი მემანქანეა; რაც შეეხება დედაჩემს, ცხრა შვილის პატრონია, შესანიშნავი დიასახლისია და დეპჯგუფის აქტიური წევრიც გახლავთ...

— ძლიერ სასიამოვნოა!—გაეხარდა ექიმს.—ერთი მითხარით, გეთაყვა, განსვენებული ბებიათქვენი რითი გარდაიცვალა? ყივანა ხველა არ ჰქონია?

— ბებიაჩემი, პატივცემულო ექიმო, არავითარ შემთხვევაში არ გარდაცვლილა. ახლა ას ორი წლისაა, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, დიდებულად გრძნობს თავს.

— მაშ მხოლოდ ბაბუა გარდაგეცვალათ არა? იმას რაღა მოუვიდა, იმ საწყალს კუჭნაწლავის ავადმყოფობა ხომ არ ჰქონია?

— კუჭი კი ჰქონდა სუსტი, მაგრამ შარშან ბორჯომში გაგზავნეს კოლექტივის ხარჯზე და თითქმის სავსებით განიკურნა ეს ას ხუთი წლის მოხუცი.

— მაშ რით მოკვდა?

— არაფრით... ესე იგი, ბაბუაჩემიც მშვენივრად გრძნობს თავს პატივცემულო ექიმო და დღე არ გავა, რომ ჩვენი მთავრობის სადღეგრძელო არ მიირთვას. საერთოდ, ჩვენს გვარში სიცოცხლის იშვიათი ხანგრძლივობა ვიცით. საწყალი ბაბუაჩემის მამის პაპა კი შედარებით ადრე მომკვდარიყო—ოთხმოცი წლის ასაკში, ისიც იმიტომ, რომ ნადირობის დროს დათვს შეჯახებოდა. მართალია დათვი აეკუწა, მაგრამ თითონ ფეხი დასცდომოდა და ხრამში გადავარდნილიყო... მას შემდეგ მხოლოდ ოც წელს იცოცხლა.

გაწბილებული პატივცემული ექიმი უსიტყვოდ ადგა და გავიდა. დილით, ყოველი შემთხვევისათვის სასაქმებელი ზეთი დამალევინეს.

სამ დღეს ბულიონს მაძლევდნენ და ორიოდე კილო დავიკელი კიდეც.

— აბა, ახლა კუჭის წვენი ამოვიღოთო,—გადასწყვიტა ექიმმა და ზონდი გადამაყლაპეს... საზიზღარი გადასაყლაპი აღმოჩნდა, მაგრამ რას ვიზამდი.

— ექიმო, გთხოვთ თავი დამანებოთ,—შევევედრე მეორე დღეს, როცა მორიგი დიაგნოზისთვის შემოვიდა.

— როგორ იქნება, გენაცვათ?—აღშფოთდა იგი,—იქნება რა გაქვთ? შესაძლებელია იყოს გასტრიტის აკუტა—ესე იგი კუჭის მწვავე კატარი, ან სტენოზის ეზოფაგი...

— ა?

— სტენოზის ეზოფაგი ანუ საყლაპავი მილის შევიწროება...

— რის შევიწროება ბატონო? შემიძლია ცხვრის კანჭი გადავყლაპო!.. თუ გნებავთ, სინჯეთ, გთხოვთ სინჯოთ, სულერთია, ეგ ბულიონი მაინც არ გადამარჩენს.

— ნუ ღელავთ ყმაწვილო. თქვენ შეიძლება კუჭის კირჩხიბიც გქონდეთ ან კიდევ კატარუს ინტესტინორუმ აკუტუს... აბსცესუს სუბდიაფრამატიკუს...

— ჯერ არა მაქვს, მაგრამ გამიჩნდება კი, თუ არაფერს მაჭამეთ... გთხოვთ მაჭამოთ... მოვითხოვ! მე შემფასებელი [illegible] კედლის გაზეთში ვმუშაობ...

— ეგ ძალიან კარგია, მაგრამ გულს ნუ მოიყვანთ.—დამამშვიდა ექიმმა,—მართლა, გული როგორი გაქვთ? მოიწვიეთ სპეციალისტი.—უბრძანა სანიტარს. გულის სპეციალისტი მოვიდა.

— რა უნდა იყოს?—თავისთვის ლაპარაკობდა ექიმი,—ენდოკარდიტის, ვიტუმ კორდის, გულის მანკი, ჰიგრო-ჰემო-პნევმოპერიკარდიუმ, აორტა ანევრიზმა... მე მგონია, ყმაწვილო, თქვენ გექნებათ გულის ნევროზი, ნევროზუს კორდის...

— ეგ სავსებით დასაშვებია,—დავემოწმე გულაჩქროლებით,—უნდა მოგახსენოთ, გული საშინლად მიცემს და ამიტომ გთხოვთ მომასვენოთ.

— რასაკვირველია, რასაკვირველია! ნუ აღელდებით, იწექით, ბევრს ნუ სჭამთ, ისე რომ გაძღეთ...

— მაგის იმედი გქონდეთ ექიმო, აქ მაინც უმთავრესად ბულიონს მაჭმევენ ბულიონის თაყვანისმცემელი კი არ გახლავართ... რაც შეეხება სიარულს, იცოცხლეთ, კარგია ამ ნაძვნარში გასეირნება, მაგრამ ეგ ბედნიერება მხოლოდ იმ ხალხის ხვედრი ყოფილა.—და მე გადავხედე მზისგან გარუჯულ დამსვენებლებს, რომლებიც საუზმის შემდეგ კისკასით და ჟრიამულით მოედვნენ წიწვიან ტყეს... ბედნიერები!..

— ყოველ შემთხვევისათვის სისხლი ავიღოთ.—გადასწყვიტა ექიმმა.

მეორე დღეს სისხლის ასაღებად მოვიდნენ.

სულ რაღაც რვა-ცხრა დღეში გამსინჯა თექვსმეტმა ექიმმა და ყველა თავისი განხრის დიაგნოზს მისვამდა. ამასთანავე, სასტიკ დიეტაზე ვყავდი და გარდა ბულიონისა, რძისა, ფაფისა, ბრინჯისა და ამისთანებისა, ჩემს პირში არაფელი ჩასულა. ისე კი სიამოვნებით გიახლებოდით იმ სოუსებს, შემწვრებს და მოხრაკულებს, რომლებსაც ასე მადიანად შეექცეოდნენ დანარჩენი დამსვენებლები. საზიზღრები! ისინი ჭამა-სმის, ვარჯიშის, ცეკვის, სიმღერის და სხვა გართობის მეტს არაფერს აკეთებდნენ და კარგადაც კეთულობდნენ (მე ამას ფანჯრიდანაც ვხედავდი), მე კი აქ მარტო კლიზმამ დამანელა...

მეათე დღეს საერთო კონსილიუმი დაინიშნა.

— მზად იყავით, სრულ ხუთ საათზე კონსილიუმი იქნება!—გამაფრთხილა სანიტარმა,—მანამ მოდი ერთი კარგი კლიზმა გაგიკეთოთ... დაიცა ერთი საპონი მოვიტანო...

— ეს კი მეტისმეტი იყო. სანიტარი გავიდა თუ არა, სწრაფად ჩავიცვი, გარეთ გავარდი და ტყეს შევაფარე თავი. მეორე დღეს უკვე ქალაქში ვიყავი. მეორე დღესვე ადგილკომში გამოვცხადდი.

— რა მოგივიდა კაცო?—მომვარდა ადგილკომის თავმჯდომარე,—ჩვენ მოსაკეთებლად გაგზავნეთ... ავად ხომ არ ხარ?

— ჰო, ცოტა ისა მაქვს... აორტული სარქველის სტენოზი და ლიტის ქრონიკა გრავისიმუს... მაქვს აგრეთვე ანკილოსტომა, ლევკემია, პსევდოლევკემია და ბრმა ნაწლავის ჭიაყელა დანამატის ანთება ანუ აპენდიცის ონისიმის...

— აპოლონ, ბიჭო, შენ ხომ არ გაგიჟდი?

— ჯერ არა, მაგრამ რომ არ გამოვქცეულიყავ, ეგეც იქნებოდა...

— კი მაგრამ, რას მორბოდი, რა ჩამოიტანე?—შემომძახეს აქეთიქიდან.

— რა ჩამოვიტანე? რაც გინდათ, ყველაფერი მაქვს: ჰკითხეთ ექიმებს—ნეფრიტი, ნეფროზი, სკლეროზი, ნიკრისის ქარი, ობერმეიერის სპიროთეკა, პელაგრა, პიელიტი. პერიტონიტა, პეტეხია, რეციდივი, პოლინევრიტის ენდემიკა, ჩუტ-ყვავილა, ფსიხოზა დიაგნოზა დიანოზა...

— არიქა, მიშველეთ, გაგიჟდა კაცი!—შესძახა ადგილკომის თავმჯდომარემ და წელში მეცა,—ექიმთან წავიყვანოთ, დიაგნოზს დასვამენ...

დიაგნოზის ხსენებაზე კიდევ უფრო ავურიე. ამასობაში სხვებიც დამეტაკნენ, მანქანაში ჩამსვეს და გამაქანეს პირდაპირ ფსიქიატრიულში, საიდანაც მეორე დღეს ძლივს გამომიშვეს.

**ალლარ-ალლარხან.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეზობლები

— ქინანუნსა, შეჩერდი! შეჩერდი თორემ მოგკლავ!—ყვიროდა ბაყუჩია და დაკარწახებული მისდევდა თავის ცოლს—ქინასუსა ცქნაფას, რომელიც წივილ-კივილით დერეფანს აყრუებდა.

გარბოდა ქინასუსა ცქნაფა და მისდევდა ბაყუჩია.

— მიშველეთ მეზობლებო! მიშველეთ!—კიოდა ქინასუსა და ქაფქირით იგერიებდა ქმარს.

— არ მომეკაროთ, თორემ დაგხოცავთ!—ყვიროდა თავის მხრივ ბაყუჩია.

ისმოდა კარების ჭრიალი. გამორბოდნენ მეზობლები საშველად. გზა და გზა იცვამდნენ ხალათებს, კაბებს, შარვლებს, პიჟამებს, წალებს და სხვადასხვა სახის „მანუფაქტურას".

— არა, რა დროს ჩხუბი ჰქონდათ ამ შუაღამისას მაგ ოჯახქორებს?—ქაქანებდა ერთი მეზობელთაგანი და მუჯლუგუნით მიიკაფავდა გზას.

— წაიჩხუბნენ? შერიგდებიან. მაგრამ ჩვენ რად არ გვასვენებენ? —შენიშნა მეორე მეზობელმა.

— შემოდი დედაკაცო, სახლშითქვა!—გაისმა მესამე მეზობლის ხმა.—კისერი უტეხიათ...არ გესმის ქალო?

— სულელები! ბრიყვები!—ჩაილაპარაკა მეოთხე მეზობელმა, რომელიც ინგლისური ქინძისთავით იმაგრებდა ქვედა საცვალს,—კაცო მე რომ მწვანე ბაზართან ვცხოვრობდი, ასე ჩხუბობდა ჩემი ერთი მეზობელი, მაგრამ ისინი ჩუმ და ინტელიგენტურ დებოშს აწყობდნენ, ესენი კი—ქაფქირით და ღამფის შარით სკანდალობენ. აუტანელია, რა სიმხეცეა, რა უკულტურობაა.

— ეგ რად გინდა კაცო!—ჩაერია საუბარში ცოლგანაყარი ახალგაზრდა მეზობელი,—მე და ჩემი ცოლი რომ წავიჩხუბებოდით, მეზობლებს რომ არ გაეგონათ ჩვენი სკანდალი მოვმართავდით რადიოს, თუ ვინიცობაა, რადიოგადაცემა შეწყდებოდა, მაშინ სათადარიგოთ პატეფონს ავაკაკინებდით, სინდისს გეფიცებით.

— მაშ თქვენ ამბობთ რომ პატეფონს ავაკაკინებდით?

— და მერე რა ფირფიტებს! „ნანა", „სულიკო", „შენ ჩემი ხარ მე შენი".

— აი მესმის კულტურული სკანდალი!—შენიშნა ხანშესულმა, არც ცოლგაყრილმა და არც ცოლიანმა მეზობელმა, რომელიც წაილიტერატორკრიტიკოსებდა.

— მე რომ თქვენ ვიყო, ამ ამბავს გაზეთში დავწერდი,—მიმართა მოხუცმა მეზობელმა.

— ეჰ, გაცვეთილი თემაა! – იენამჭევრა „კრიტიკოსმა".

როგორც იქნა ქინასუსა ცქნაფი გამოგლიჯეს ხელიდან ბაყუჩიას და სახლში შეიყვანეს, ბაყუჩია იდგა დერეფანში კედლისკენ პირშებრუნებული და ოხრავდა. მას ათიოდე წლის ბიჭუნა ჩასჭიდებოდა პერანგის სახელოში და სლოკინით ეუბნებოდა:

— მამილო, წამოდი სახლში!

— როგორ არ გრცხვენიათ? ჩხუბობთ, იკლებთ აქაურობას, ეს ხომ ხულიგნობაა?

— ასეთ მოქმედებისათვის სასამართლო და მისი ჯანი!

— გავასახლოთ!—ისმოდა ძილგატეხილ მეზობლების საპროტესტო მუქარები.

მაშინ ბაყუჩია მიუბრუნდა მეზობლებს და კვნესით მიმართა:

— მაშ რა ჯანდაბა ვქნა, როდის ვიჩხუბო? დღე სამსახურში ვარ, ღამე მოვდივარ შინ და აღარც მაშინ ვიჩხუბო?

— რატომ ჩხუბობ?—შეეკითხა მეზობელი.

— ვერ შევთვისდით ხასიათით.

— ადექი და გაეყარე.

— სად წავიდე?

—როგორ თუ სად წახვიდე, თუ ცოლთან ცხოვრება არ გინდა უნდა განშორდე.

— მერე სად წავიდე?

და ბაყუჩიამ სხვების შესაშინებლად წარმოსთქვა შემდეგი:

— თავს მოვიკლავ, დღესვე თავს მოვიკლავ და ის იქნება!

ეს მან ისეთი ტონით წარმოსთქვა, რომ ყველა დააჯერა.

— კაცო, მართლა ღმერთი არ გაუწყრეს და თავი არ დაიღუპოს!—შექმნეს ბჭობა მეზობლებმა.

— ის ცოლის შესაშინებლად სთქვა, შე კაცო!

— შესაშინებლად კი არა, ეგ შეასრულებს თავის ნათქვამს – იცოდეთ ყველამ.

და მართლაც იმ საღამოდან დამოკიდებული ყველა ფიქრობდა, ჰა საცაა გავარდება რევოლვერი და ბაყუჩიას სასწრაფო დახმარებით გააქანებენ. ყველა მეზობელი დარწმუნებული იყო, რომ ბაყუჩია თავს რატომღაც ღამით მოიკლავდა უთუოდ.

ამიტომ ყოველ დილით ინათლებდა თუ არა ფეხზე იდგნენ და ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

— ცოცხალია?

— ცოცხალია! ალიონზე ადგა და სამსახურში წავიდა.

— რას ლაპარაკობ?

— ცრუობს, სამსახურში კი არა წუხელ სროლა იყო, გავიგონე.

— ის, კატამ ვედრო გადმოაგდო და შენ თოფის ხმა გეგონებოდა. ერთი დედაბერი მეორეს შესჩიოდა:

— თქვენ წარმოიდგინეთ, მარი პეტროვნა, ყოველ ღამე ბამბით ვიცავ ყურებს, მეშინია, ძალიან მეშინია თოფის ხმისა.

— მე კი, ვარვარა იაკიმოვნა, მთელი ღამეობით სინათლეს აღარ ვაქრობ, ყური კედელთან მაქვს მიყურებული და ველოდები როდის გავარდება, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ისე შემომათენდება ხელში, რომ უბრალო „პუგაჩის" ხმასაც კი ვერ გავიგონებ.

მეზობლები ნერვიულობდნენ: ღელავდნენ. გასროლას ელოდებოდნენ. ბაყუჩია ჩლიჩს მოწიწებით ეპყრობოდნენ. წარმოიდგინეთ არც სინათლის, არც წყალის ფულს არ ახდევინებდნენ მეზობლები. მის ბავშვებს ნაყინით და ტკბილეულობით უმასპინძლდებოდნენ ხშირად.

— ჭამე შვილო. საწყალი მომავალი ობოლია, მამამისი მალე თავს მოიკლავს.

და როდესაც რომელიმე მეზობელთაგანი სიხარულით აუწყებდა სამზარეულოში შეკრებილ ქალებს, რომ მან დღეს ნახა ბაყუჩია ძალზე დაღონებული, რომ პაპიროს პაპიროსზე ეწეოდა,—დაასკვნიდნენ: რომ უთუოდ ყოველ მიზეზს გარეშე ამაღამ გავარდება რევოლვერი. მაგრამ რევოლვერის ხმა არ ისმოდა. მეზობლები მოთმინებიდან გამოდიოდნენ.

და მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა მაშინ, როდესაც ბაყუჩია ჩლიჩი და ქინასუსა ცქნაფი ხელიხელ გაყრილი ერთად მოვიდნენ ბაზრიდან სანოვაგით დატვირთული, გამოსასვლელ დღეს.

მეზობლები ნაწყენი დარჩნენ. შეიქნა ერთი მითქმა-მოთქმა, წუწუნი:

— უსინდისოები, ჩვენს თვალებს ძილი გაუფრთხა, ველოდებით საცაა რევოლვერი გავარდებათქვა და ესენი ერთად დადიან.

— ტრაბახა! ტრაბახა! თავს მოვიკლავ, თავს კი არა ბუს კვერცხებს...

— ხომ გითხარით, თავს მოიკლავს კი არა და ახალი ტუფლებიც კი უყიდნია ცოლისათვის!

— რას ლაპარაკობ, არ გადამრიო?

— სინდისს გეფიცებით!

— ხალხო! ასეთი რამ გაგონილა? ახალი ტუფლები უყიდნია ცოლისთვის!—ჰკვიროდნენ მეზობლები, ხოლო როდესაც ბაყუჩია და მისი ცოლი კინოში მიმავალნი ნახეს, მაშინ კი დარწმუნდნენ, რომ ბაყუჩია ჩლიჩმა თავის მოკვლის საკითხი მოხსნა დღის წესრიგიდან და ფრიად განაწყენებულნი ერთურთშორის ჰბუტბუტებდნენ:

— „თავს მოვიკლავ" ლაჩარი!

— ბაქიბუქა!

— დედალი!

ასეთ რეპლიკებს ესროდნენ საბრალო ბაყუჩიას, მეზობლები.

**მიხ. გოგიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წყალტუბო

1

დამჩემდა მე ძვლების
საზარი ტკივილი.
ღამეს ვათენებდი
კვნესით და კივილით.
ექიმმა მირჩია:
წყალტუბო გიშველის,
წადი და აუზში
ჩაწექი შიშველი.
იცოდე მოგარჩენს,
განგკურნავს სავსებით,
ოცი წლის ჭაბუკსა
შენ დაემსგავსები.
ვერწმუნე ექიმის
ამ რჩევას საამოს,
და გზას გავუდექი
იმავე საღამოს.

2



მგზავრობით ვიყავი
საშინლად დაღლილი,
მწყუროდა მარტოდენ
სიმშვიდე და ძილი.
სასტუმროს კარები
შევაღე მე როცა,
ნახული სურათი
ცოტა კი მეოცა:
ვხედავ მაგიდასთან:
ხალხი არეული,
ზოგი შინაური,
ზოგიც „გარეული“.
მაგიდას შევხედე
მე განაკვირია,
და გამგის ვიხილე
მუნ გრძელი ცხვირია,
საწყალი—სიმწრის ოფლს
იწმენდდა ხელითა,
შემხედა—მომმართა
სიტყვით ფიცხელითა:
„—ხორზუ, ვა, ძამია,
რას ვამბობ... იმასა,
სამი დღე მაცალე
და მოგცემ ბინასა.
რა გიშავს, ჭირიმე,
ხომ ხედავ, დარია,
მინდორში დაწევი
იქ გრილი ქარია.
აქ მაინც არ ვარგა
სიცხეა საზარი,
შენ აქ დაიხრჩობი
კაცი ხარ გამხდარი.
სამი დღე მაცალე
გასძელ დღე სამია,
ცოტათი დაიცა.
ხორზუ, ვა, ძამია!“
ვიფიქრე აქ ჩხუბი
აბა რას გიშველის,
გინდ ფიშტო იძვრე და
გინდ ხმალი შიშველი.
მყისვე გამოველი
მე განამწარები,
და სასადილოსი
შევაღე კარები.
გარს მიმოვიხედე
გავკვირდი სრულიად.
წამს ამიფანცქალდა
საგულეს გულია.
სდგას ამო სურნელი
აღმძვრელი მადისა,
შუშხუნა ხვანჭკარის,
მცვარიან მწვადისა.
მაგრამ ვაჰ, არსად ჩანს
რომ დაჯდე—ადგილი,
ამტყდარა ჩოჩოქლი,
გინება, ქადილი.
ვიდექ, დავიღალე
ხანგრძლივი ლოდინით,
ვფიქრობ—ახ, ნეტავი
თან მქონდეს ლოგინი.

3

დავჯექი, მეშველა,
ვიშოვე ადგილი
და ვყვირი: აბა ჰა,
მომიტათ სადილი!
მიშველეთ მოიტათ
მცვრიანი მწვადები,
ცივ-ცივი ხვანჭკარა
ჩაფით, ხელადებით.
მოიტათ შემწვარი,
ხარჩო და ჭადები,
კატლეტი, მაწონი
ყინულზე ნადები.
—„რას, ყვირი, გაგიჟდი,
რა დროს სადილია?
დაღამდა ხომ ხედავ
ცას ეკვრის ჩრდილია!“
მსახურის სიტყვები
მრისხანედ გაისმა:
„მოიცა და მალე
მოგართმევთ ჩაისა!“
დაღამდა, მიდამომ
ბურუსი ჩაიცვა,
ეშველა, აღსრულდა,
ადუღდა ჩაიცა.
დავლიე, გაამოთ,
ვიჯერე მე გული,
ბუზების ნახარში
„ჩაით“ წოდებული.

4

იმ ღამეს მინდორში
ვიძინე „ტკბილადა“,
როდესაც გათენდა,
ავდექი ფრთხილადა,
გაველი ქუჩაში
ვთქვი არა მიშავსა,
როს თვალი მოვკარი
„გლავ-ვრაჩსა“ მიშასა
თვალებს უმშვენებდა
ზეცის ალიონი,
კოხტად მოდიოდა
თავის ყალიონით,
—შენ-კი გენაცვალე,
სალამი მიშასა,
რაკი შენ გიხილე
აწ რაღა მიშავსა!
მწამს დამეხმარები
კაცი ხარ მამაცი,
გთხოვ ჩამსვა ახლავე
თბილ აბაზანაში.
მომიგო—„გეთაყვა
ნუ სწუხარ, გიშველი,
წადი და აუზში
ჩაწევი შიშველი!“



...და აბაზანისა
შევაღე კარები,
ვიხილე მუნ ხალხი
მჯდომარე მთქნარებით.
მომმართა ჭაბუკმა:
„აწ თქვენი რიგია,
აქ, პირველ ნომერში
შებრძანდით ბიძია!“
შევედი; ტანთ ვიხდი
სიამით მთვრალია,
მაგრამ თავს დამადგა
ექიმი ქალია.
შევხედე, შემრცხვა და
შევშინდი ძალიან,
ნეტავი რა უნდა
იქნება მთვრალია?
შემხედა, იყვირა
მკვახედ და ცხარეთა:
„აქ ვინ შემოგიშვა,
მიბრძანდი გარეთა!
მე სხვა მყავს რიგშია,
ეხლავე აქ მოვა,
მიბრძანდი, გიბრძანებ
მე ამირბეგოვა!“
შევხედე მშვენებას
გულ აკანკალებით,
პირდაპირ რისხვის ცეცხლს
აფრქვევდა თვალებით.
ვიფიქრე—დამახრჩობს,
ვერავინ მიშველის,
და აბაზანიდან
გავვარდი შიშველი.
შემდეგ რა შემემთხვა
ავი თუ კეთილი,
სჯობს აღარ დავწერო
აქ დავსვა წერტილი.
თორემ აქ საკბილო
აურაცხელია,
რომლებიც ნიანგის
ჩანგალსა ელიან.
აი, ვით დასრულდა
აქ ჩემი სტუმრობა.
წყალტუბოს ცხოვრება
არ არის ხუმრობა!

**ტფილელი**

ნახ. დონისა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



## ცირკში

— ვაჰ! მამაჯან, არ მოწყდეს ეგ ცოდვისშვილი, არ ჩამოვარდეს.

— არხეინად იყავ, მაგან თავისი ხელობა იცის, მოწყდეს რა „გრუზშვეინპრომის“ დაკერებული ღილი ხომ არ არის.

# ფილიმონის ქორწინება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცდასამი წლის იყო ფილიმონი და უკვე სამი ცოლი ჰყავდა გამოცვლილი. ქალაქიდან, ქალაქში დაარბენინებდა ფილიმონს საალიმენტო აღმასრულებელი ფურცელი. უქმად ჭამას შეჩვეულმა ვერ მოიშალა სხვისი ნაშრომით ცხოვრება: შესახედავად კაი მოყვანილობის ყმაწვილი იყო ფილიმონი. ეს მან სარფის საქმედ გამოიყენა.

— რას შვრები ბიჭო, სად ხარ ახლა?— ჰკითხავდნენ მეგობრები ფილიმონს.

— საექიმოს ვამთავრებ...

— ჰო, კარგია, ქალი ხომ არ შეგირთავს?

— არა, ვეძებ, მაგრამ ოთახი თუ არა აქვს, ისე ხომ იცი...—ჩაილაპარაკებდა ფილიმონი და ქოჩორზე ხელს გადაისობდა.

ფილიმონი თავისუფლად დასეირნობდა თბილისის ქუჩებში. მან იცოდა ყველა სამიკიტნოს გზა და კვალი, ინსტიტუტის შესახებ კი რა მოგახსენოთ. დღეს ერთთან სადილად, ხვალ სხვასთან, დღეს ლუდზე დაჰპატიჟებს ვინმე, ხვალ საუზმეზე და ასე შემდეგ. და მერე რამდენი ახალგაზრდა ქალის გული აafორიაქა ფილიმონის საქციელმა. ორი პატარა ვაჟი ყოველდღიურად ელოდა „მამისაგან" საჩუქრებს, მაგრამ „მამა" უგზო-უკვლოდ იყო გადაკარგული.

წელს ზაფხულს, ფილიმონი თბილისის სიცხეებმა შეაწუხა და მისივე სიტყვით რომ ვსთქვათ, (ნაცნობ ქალებს უთხრა) „იალტაში წავიდა დასასვენებლად", მაგრამ ამ სტრიქონების ავტორმა იცის, რომ ფილიმონი ნამდვილად თავის სოფელ საკორკიმელოში კაკლის ძირში კოტრიალობდა.

ამ სოფლის ახალგაზრდობა დიდიხანია იცნობდა „ექიმ" ფილიმონის ბიოგრაფიას.

ერთ დილით ხის ძირში ჭილოფზე წამოწოლილი ფილიმონი ცას მისჩერებოდა და გიტარაზე თავისებურად აღიღინებდა:



**მზია შენი თეთრი კაბა**
**წყალს მიჰქონდა მდინარესო,**
**მოგეპარე, მოგეხვიე,**
**პროშტი გიქენ მძინარესო...**

— უჰ, ძალიან დამწვარი არ ყოფილხარ ბიჭო მზიაზე? შეაწყვეტინა ფილიმონს სიყვარულის სიმღერა, სოფლის ახალგაზრდების მეთაურმა ესტატემ.—რომ წაგახდინა მასე ბიჭო, რამდენ ყვავილს დაინახავ, ყველას მოწყვეტა კი არ უნდა განიზრახო გულში. გამარჯობა შენი!

— გაგიმარჯოს...მარტო განზრახვა არ კმარა, ესტატე. გადაწყვეტილება სისრულეში უნდა იქნას მოყვანილი.

— რავა. გაკლია გულს, თუ?

— შე კაცო, შენს ბაღში ვარდი ჰყავოდეს და მოსაწყვეტად სხვა დაგჩხაოდეს სად ნახულა მაგი!..

— ბიჭო, რაღაცა კი უნდა გქონდეს შენ გულში.—დაიწყო ესტატემ.

— გულში სისხლი მაქვს, ესტატე ჩემო, და სურვილიც დიდია...

— რისი ბიჭო?

— რავა ვარდივით გადაშლილა ეს ჩვენი მზია ..

— არ ხუმრობ?

— შენს თავს გეფიცები...

— რა იქნება მალარიჩი?

— ერთს მაგრად გაქეიფებ და...

— მამიშენის ხარჯით? ბიჭო არ გეცოდება მაინც, მესამე ქორწილი გინდა გადიხადო მამის ხარჯზე?

— აჰ, მე მაქვს ფული...მაგრამ ისე...ქალს არაფერი გამოყვება?

— ოქროს, ბიჭო, სპილენძი რაღად უნდა.

— კი, მაგრამ...

— რავა, სახლს არ დაჯერდები?

— სახლს? ოთხი თვალია არა?

— ახლა მეჩქარება და მაგის ანგარიშს მერე შეუდექი, სადაა მამაშენი მოვილაპარაკოთ.

— სახლშია, მარა მე ვერ შემოგყვები...

— ჰო კარგი.—სთქვა ესტატემ და სახლში შევიდა.

— ქაიხოსროს სალამი...

— იცოცხლე ჩემო ესტატე, რაზე გარჯილხარ?

— შენი ბიჭი კვდება დარდით და შუამავალად მოვედი.

— რა მინდაო?

— მზიაზე ყოფილა შეყვარებული.

— მერე?

— ქორწილია საჭირო...

— იმე, აღარ კმარა შეკაცო? ამდენი ქორწილით ჩემს სახლს ჭერი ავარდება...

— ქალსაც უყვარს თურმე...

— მე კაპიკის დამხარჯველი არ ვარ.

— აჰ, მაგაზე არც შეწუხდე, თითონა აქვს ფული.

— საქმე გაჩარხული გქონიათ და მე რაღას მეკითხებით?—სთქვა ქაიხოსრომ და ჩიბუხი გააბოლა.

რამოდენიმე დღის შემდეგ ქორწილიც გაიმართა. ქაიხოსროს ეზო მეტად გამხიარულდა. მზია მხიარულად იჯდა ფილიმონის გვერდით და სახე უღიმოდა. ახალგაზრდები თავისი მეთაურით ესტატეთი რაღაცას ამზადებდნენ. შუაღამისას დედოფალმა ბოდიში მოიხადა და ცოტა ხნით გარეთ გავიდა, მზიამ თავისი ძმა იხმო. ახალგაზრდების თანდასწრებით დაძმანმა ტანსაცმელი შესცვალეს.

ფილიმონი უკვე მთვრალი იყო და გიტარაზე ცივი ხმით ყვიროდა:

**ღვინოს დავლევ წყალს არა,**
**შენ გაკოცებ სხვას არა...**

— გორკა,—წამოიძახა ვილაცამ.

— გორკა, გორკა, —გაისმა აქეთ-იქიდან. ფილიმონმა სურვილი აისრულა.

უკვე თენდებოდა როცა ხალხი აიშალა. ფილიმონი და მზია ოთახში შევიდნენ.

მზიამ ტანთ გაიხადა და ფილიმონის წინ მზიას ნაცვლად იდგა მზიას ძმა დათუნა, რომელიც ისე ჰგავდა თავის დას რომ მხოლოდ შარვლით და კაბით თუ შეიძლებოდა ამ დაძმის ერთმანეთში გარჩევა.



— არიქა ქალი გამომიცვალეს,—დაიღრიალა ფილიმონმა და დათუნას გამუდგა.

კარები გაიღო და სოფლის ახალგაზრდების სიცილ-ხარხარმა დაჰფარა ფილიმონის ღრიალი.

— კი, მაგრამ, ამდენი პურმარილი წყალში გადამიყარეთ?

— მამაშენმა სამი ქორწილი გადაგიხადა და დიდი ამბავია, რომ ერთხელ შენი პურმარილი ჭამონ მამიშენის მეგობრებმა? მაგრამ ასე ვერ გაგიშვებთ. როგორც გავიგეთ ვილაცას ირთავ და ფული გაქვს აღებული. შენი ყოფილი ცოლი აქ არის შენი ორი ბავშვით და დანარჩენი ფული იმას უნდა ჩავაბაროთ.

— რომელი ფული, რას ამბობთ?

— ნუ სწუხდები, ის ფული აქ გახლავს, სთქვა ესტატემ და საფულე ხელში შეათამაშა.

ქაიხოსრომ ოთახში შემოიყვანა ხელში აყვანილი შვილიშვილები, ორივე გადაჰკოცნა და შვილს მიუბრუნდა.

— ჯანდაბაში წასულხარ, ვინც გინდა ის შეირთე. მე ამ ბავშვების აქედან გამშვები არა ვარ. თფუი შენს კაცობას.

— რა მიქენი ესტატე, მომჭერი თავი? —მიაძახა ესტატეს გამოფხიზლებულმა ფილიმონმა.

— „მარტო განზრახვა არ კმარა, გადაწყვეტილება სისრულეში უნდა იქნას მოყვანილი" —გაიმეორა ესტატემ ფილიმონის სიტყვები და ტიტველ დათუნას შარვალი მიაწოდა.

მზია და ფილიმონის ყოფილი მეუღლე აივანზე იდგნენ და მადიანად ხარხალებდნენ.

კ. გოგიაშვილი

ნახ. ან. კანდელაკისა.



## ზესპაპონის სასტუმროში

სასტუმროს გამგე: — რა გაჩხუბებთ, რა გაღრიალებთ?

— გვცივა, გვიშველე!

სასტუმროს გამგე: — თქვენ მადლობა სთქვით ეს ერთი საბანი რომ მაინც გიშოვეთ... მიიხურ-მოიხურეთ და იოლად წადით...

---

# ჩვენი ფოსტა

**სევასტის.** (თბილისი) რას ერჩით მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის დირექტორს ვანო მათიაშვილს:

ნათესავი ბიძაშვილი
შემოკრიბა ერთი-ორი
ასე ყვირის: მე ვარ, რაც ვარ
დირექტორი—დიქტატორი.
ზედმეტ საათს გვამუშავებს
(ყველამ იცის, არ ღირს ახსნად)
ამ „მეთოდით“ წელს სეზონი
თვენახევრით გვიან გახსნა“—ო

მერე რა ვუყოთ, დირექტორიც მიტომაა, რომ როცა უნდა გახსნის და როცა უნდა დახურავს. დაშავდება ამითი რამე თუ? არაფერი... თუ ჩვენი არ გჯერათ, შეეკითხედ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს... (თუმცა იქ მისვლას არ გირჩევთ, ერთ თვენახევარს ისინი დაგაგვიანებენ პასუხისათვის და ამასობაში სეზონიც გავა).

**დიპლიპიტოსპირელს.** (სამტრედია) იწერებით:

„ნიანგო ჩვენში, სამტრედიაში.
უნდა გითხრა რომ აცივდა ცოტა,
მატარებლები ისევლე დადის
ველარ დაფრინავს ბუზების როტა.

არა გვჯერა. ბუზების „როტა“ რომ არ დაფრინავდეს, ამ სტრიქონებს რა დაგაწერიებდათ?

**მარალოს.** (ბათუმი) „შესანიშნავია“,
თქვენი „შემოქმედება“:

ნიანგო, მეც მსურს ვიყო პოეტი
მეც მინდა წილი პოეზიაში,
იმტელი შველა შენ და შენს ჩანგალს
რამდენი ლექსი პროვიზიაში
მაქვს ჩაწყობილი დასტა-დასტებათ
გამოგონილი პროვინციაში
ბევრჯერ ვიყავი მე ამ საკითხზე
ჩვენ რაივონის მილიციაში,
მაინც ვერ მითხრეს და ვერ გევიგე
თუ რატომ არ ვარ მწერალთ სიაში.

ძალიან ცუდათ მოსვლია „თქვენ რაივონის“ მილიციას, რომ არ დაუჯარიმებიხართ „საპროვიზიო“ ლექსების წერისათვის.

ქა-974.

ნახ. მიხ. ოთაროვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მიუნხენის ატრაქციონი

— ეს ბიჭი კარგად თამაშობს
ფეხის წვერებზე დგებაო,

ამას რომ ფეხი დაუსხლტეს
ჩვენ ხომ არ დაგვბრალდებაო.

პ/მგ. რედაქტორის მოვ. დრ. ალმ. ი. მაძელი. კოლეგიის წევრები: ს. გაჩეჩილაძე, ირ. აბაშიძე, დ. გელაშვილი.

რედაქციის მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ. № 5, ტელეფონის № 3-74-67. ,,კომუნისტის'' სტამბა კამოს ქ. № 68.

გადაეცა წარმოებას 21/XI ხელმოწერილია დასაბეჭდათ 3/XII 38 წ. შეკვეთის № 1127 მთავლიტის რწმუნებული 1066 ტირაჟი 15000